

**ფონდი მშვიდობის, დემოკრატიის და
განვითარების კავკასიის ინსტიტუტი**

ფინანსური ანგარიშგება

აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....3

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა 4

ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ6

სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....8

1. ორგანიზაცია 11

2. ახალ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ადაპტაცია.....11

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 11

4. სააღრიცხვო პოლიტიკა 12

5. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა 17

6. წინა პერიოდის შეცდომები 21

7. ფულადი სახსრები 22

8. მოთხოვნები დონორების მიმართ 22

9. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან და სხვა მოთხოვნები 23

14. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები 26

15. შემოწირულობები 26

16. პროგრამის დანახარჯები 26

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 27

18. განუსაზღვრელობები 27

ფონდი მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობები, ფონდი მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის (შემდგომში ორგანიზაცია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დაცვით (ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა ორგანიზაციაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასებ-ის დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ, დაიცვას ორგანიზაციის აქტივები; და
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2012 წლის _____ დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი _____ ავთო ჯოხაძე

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის დამფუძნებლებს:

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (შემდგომში ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თალღითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თალღითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს პირობითი დასკვნის გასაცემად.

პირობითი დასკვნის საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ ორგანიზაციაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის პროცესს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან ინვენტარიზაციის ფაქტიურად ჩატარების თარიღი წინ უსწრებდა ჩვენს აუდიტორებად დანიშნვის თარიღს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ ვადასტურებთ ძირითადი საშუალებების ფიზიკურად არსებული ოდენობა 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისობაშია თუ არა სააღრიცხვო მონაცემებთან.

პირობითი დასკვნა

ჩვენი აზრით, გარდა იმ შესაძლო ეფექტისა, რომელსაც მოახდენდა პირობითი დასკვნის საფუძველში მოცემული საკითხები, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მის შემოსავლებს, ხარჯებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

შპს „ბიდიო“

22 ივლისი, 2012

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი
ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ
 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (აშშ დოლარებში)

	შენიშვნები	2011	2010
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	82,460	103,837
დონორების მიმართ არსებული მოთხოვნები	8	414,098	284,939
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი და სხვა მოთხოვნები	9	11,134	31,767
		507,692	420,543
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	336,044	338,939
		336,044	338,939
		843,736	759,482
ვალდებულებები და წმინდა აქტივები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი და სხვა ვალდებულებები	9	17,305	28,424
		17,305	28,424
წმინდა აქტივები			
აკუმულირებული რეზერვები	12	287,528	314,886
დროებით შეზღუდული შემოსავალი		511,573	403,119
სხვა ვალუტაში წარდგენით გამოწვეული კურსთაშორის სხვაობის ეფექტი		27,330	13,053
		826,431	731,058
		843,736	759,482

აღმასრულებელი დირექტორი _____ ავთო ჯოხაძე

9-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს
(აშშ დოლარებში)

	შენიშვნები	2011	2010
ამონაგები და სხვა შემოსავლები			
შეუზღუდავი შემოსავალი	13	496,208	595,445
შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან	14	6,378	647
მიღებული შემოწირულობები და საჩუქრები	15	3,490	467
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება (წმ.)		-	9,565
		506,076	606,124
ხარჯები			
პროგრამის ხარჯები	16	(496,208)	(595,446)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(34,758)	(27,014)
ფინანსური ხარჯები	10	-	(4,703)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		35	(23,010)
		(530,931)	(650,173)
წმინდა მოგება დაბეგვრამდე		(24,855)	(44,049)
მოგების გადასახადის ხარჯი	18	(2,503)	(1,220)
წმინდა მოგება		(27,358)	(45,269)
სხვა ვალუტაში წარდგენით გამოწვეული კურსთაშორის სხვაობის ეფექტი		14,277	18,835
მთლიანი სრული შემოსავალი		(13,081)	(26,434)

აღმასრულებელი დირექტორი _____ ავთო ჯოხაძე

9-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს
(აშშ დოლარებში)

	2011	2010
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	(24,855)	(44,049)
კორექტირებები:	-	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	38,170	32,961
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი	-	(9,565)
საგადასახადო ხარჯები	3,445	-
ცვლილება შეზღუდული შემოსავლის რეზერვში	108,454	(184,715)
უიმედო და საეჭვო ვალების ხარჯი	1,089	-
საპროცენტო ხარჯი	-	4,703
გადაფასების რეზერვის ეფექტი	27,330	13,053
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	153,633	(187,612)
კლება/ზრდა:		
დონორების მიმართ არსებული მოთხოვნები	(141,949)	106,099
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი და სხვა მოთხოვნები	17,187	88,382
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი და სხვა ვალდებულებები	(13,592)	(63,366)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	15,279	(56,497)
გადახდილი პროცენტები	-	(5,459)
გადახდილი მოგების გადასახადი	(805)	(841)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	14,474	(62,797)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(35,851)	11,191
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	57,097
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(35,851)	68,288
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	-	(76,191)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	(76,191)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/შემცირება	(21,377)	(70,700)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	103,837	174,537
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	82,460	103,837

აღმასრულებელი დირექტორი _____ ავთო ჯოხაძე

9-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

	დროებით შეზღუდული შემოსავალი	აკუმულირებული რეზერვი	სხვა ვალუტაში წარდგენით გამოწვეული ეფექტი	სულ
ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრისათვის (არააუდიტირებული)	549,472	398,516	(5,782)	942,207
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/ზარალი	-	(45,269)	-	(45,269)
შეზღუდული შემოსავლის შეუზღუდავზე გადატანა	(184,715)	-	-	(184,715)
სხვა ვალუტაში წარდგენით გამოწვეული კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	-	-	18,835	18,835
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრისათვის	364,757	353,247	13,053	731,058
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/ზარალი	-	(27,358)	-	(27,358)
შეზღუდული შემოსავლის შეუზღუდავზე გადატანა	108,454	-	-	108,454
სხვა ვალუტაში წარდგენით გამოწვეული კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	-	-	14,277	14,277
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	473,211	325,889	27,330	826,431

აღმასრულებელი დირექტორი _____ ავთო ჯოხაძე

9-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

1. ორგანიზაცია

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი დაარსდა 1992 წელს, აგვისტოში, თბილისში, საქართველოში. ფონდი წარმოადგენს არასამთავრობო, არაკომერციულ ორგანიზაციას.

ფონდს აქვს პროგრამები კვლევის, გამოცემის, კონფერენციების ორგანიზაციის, ვიდეო ფილმების წარმოების, სხვა საქმიანობას, რაც უკავშირდება დასავლური, დემოკრატიული აზროვნების მიღწევის, დემოკრატიული და თავისუფალი ბაზრის ღირებულებების გავრცელებას, და ხელს უწყობს საქართველოსა და კავკასიაში კომუნიზმის შედგომი გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი პრობლემების ობიექტური თეორიული ანალიზის დანერგვას.

2. ახალ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ადაპტაცია

ა) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, შესწორებები რომლებიც ძალაშია 2011 წლის 1 იანვრიდან.

არცერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომლებიც ძალაში იყო 2011 წლის 1-ელი იანვრისთვის, არ ჰქონია არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, შესწორებები რომლებიც ჯერ არ არის ძალაში.

არცერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომლებიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან და რომლებიც არ იყო მიღებული წინა პერიოდში, არაა მოსალოდნელი რომ ექნება არსებითი გავლენა ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ორგანიზაციის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **მოგების გადასახადი.** ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ორგანიზაცია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადებისა და პროცენტების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ორგანიზაციას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ორგანიზაციას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. ორგანიზაციას სჯერა, რომ აუდიტირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

წარდგენის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ევროკავშირის მიერ.

ორგანიზაცია საბუღალტრო წიგნებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ლარებში საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად. ზემოთ მოყვანილი ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ორგანიზაციის საბუღალტრო მონაცემების საფუძველზე. ორგანიზაცია საბუღალტრო წიგნებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ლარებში, ხოლო ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აშშ დოლარებში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ორგანიზაციის საქმიანობა მიმდინარე პერიოდში უწყვეტია და ის პროგნოზირებად მომავალშიც გააგრძელებს საქმიანობას. მენეჯმენტი დაინტერესებულია საქართველოში ორგანიზაციის საქმიანობის გაზრდით მომავალში და იგი მიიჩნევს, რომ საქმიანობის უწყვეტობის დაშვება ორგანიზაციასთან მიმართებაში, სამართლიანია.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას. გარდა ამისა, ის ხელმძღვანელებისგან მოითხოვს მსჯელობას ორგანიზაციის სააღრიცხვო შეფასებების ყველაზე შესაფერისი და სამართლიანი გზით გამოყენებასთან დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში წარმოდგენილია სწორედ ის მნიშვნელოვანი არეები, რომლებიც ორგანიზაციის მენეჯმენტისგან მოითხოვს არსებით მსჯელობასა და შეფასებებს.

ორგანიზაციის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საოპერაციო ვალუტა და უცხოური ვალუტის ჩაწერა

ინტერპრეტაციების მუდმივმა კომიტეტმა (შემდგომში – იმკ) საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის შემადგენლობაში მიიღო იმკ 19 „ანგარიშგების ვალუტა: ფინანსური ანგარიშგების შეფასება და წარდგება ბასს 21 და ბასს 29-ის შესაბამისად“. წინამდებარე ინტერპრეტაციით განსაზღვრულია, რომ შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს ორგანიზაციასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. თუ გარკვეული ვალუტა არსებითად ხშირად გამოიყენება ორგანიზაციის მიერ ან ამ ვალუტას მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მიზანშეწონილია, სწორედ იგი გამოიყენებოდეს, როგორც შეფასების ვალუტა.

თავის ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. მოცემული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა განსხვავდება ორგანიზაციის შეფასების ვალუტისგან, და წარმოადგენს აშშ დოლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღის კურსით, ხოლო სრული შემოსავლის ანგარიშგება – საანგარიშგებო პერიოდის საშუალო წლიური კურსით.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	USD	EUR
კურსი 2010 წლის 31 დეკემბრისათვის	1.7728	2.3500
საშუალო კურსი 2010 წლისათვის	1.7823	2.3643
კურსი 2011 წლის 31 დეკემბრისათვის	1.6703	2.1614
საშუალო კურსი 2011 წლისათვის	1.6860	2.3473

შემოსავლები

დონორის დაფინანსება წარმოადგენს ორგანიზაციის შემოსავლის ძირითად წყაროს, თუმცა წესდებით ნებადართულია ასევე საწევრო და ნებაყოფლობითი შენატანებიც.

დონორის კონტრიბუციების მეტი ნაწილი წარმოდგენილია გრანტებისა და კოოპერატიული შეთანხმებების სახით. ფონდის ხელმძღვანელობა ასეთ საგრანტო შეთანხმებებს მოიარებს კონტრიბუციებად და აღიარებს მათ, როგორც კი დაპირება მიცემულია.

ყველა კონტრიბუცია, მათ შორის თავდებობები, აღიარებულია შემოსავლად მიღებისთანავე და ითვლება შეუზღუდავად, სანამ არ მოხდება მათი მიღება დონორის პირობების შესაბამისად, რაც ზღუდავს მათ გამოყენებას მიზნის ან დროის თვალსაზრისით. მიღებული კონტრიბუციების ფასდება მიმდინარე ღირებულებით.

შემოსავალი აისახება, როგორც შეუზღუდავი წმინდა აქტივების ზრდა მანამ, სანამ მათ გამოყენებას არ შეზღუდავს დონორი დაწესებული აკრძალვებით.

ხარჯები

ორგანიზაცია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ორგანიზაციის საპროექტო საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ხარჯის აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

წმინდა აქტივები და კლასიფიკაცია დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვების მიხედვით

ორგანიზაცია ფულად საჩუქარს და სხვა აქტივებს ასახავს, როგორც აკრძალულ დახმარებას, თუ ისინი მიღებულია დონორის პირობით, რომელიც შეზღუდავს ნაჩუქარი აქტივების გამოყენებას. როდესაც დონორის შეზღუდვები ამოიწურება, ანუ როდესაც დროის ან მიზნის თვალსაზრისით დაწესებული შეთანხმებული აკრძალვები დასრულდება, დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები გადაკლასიფიცირდება შეუზღუდავ წმინდა აქტივებად და საქმიანობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც შეუზღუდავი წმინდა აქტივები.

წმინდა აქტივები, შემოსავალი, ხარჯები, მოგება და ზარალი კლასიფიცირებულია დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვების არსებობის ან არარსებობის საფუძველზე.

დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები ექვემდებარება დონორის დაწესებულ შეზღუდვებს, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ფონდის უფლებას, გამოიყენოს ან გახარჯოს აქტივები. შეზღუდვები განისაზღვრება დროით ან ფონდის საქმიანობით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება არის აქტივის აღიარების დღეს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების მოცულობა. თუ აქტივის შეძენისთვის გადახდის ვალდებულება გადავადებულია ნორმალური საკრედიტო პირობების ფარგლებში, სხვაობა მის ღირებულებასა და სრულ გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება პროცენტის თანხის კაპიტალიზაცია შეძენილი აქტივის ღირებულებაზე.

თავდაპირველი აღირების შემდეგ, ძირითადი საშუალება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	მომსახურების ვადები
შენობები	20
ავტომობილები	5
აღჭურვილობა	5

აქტივების გაუფასურება

ორგანიზაციის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ბასს 36-ის – „აქტივების გაუფასურება“ გავლენა, რომელიც ძალაში შევიდა იმ საანგარიშო პერიოდებისათვის, რომელიც იწყება 2005 წლის 1 იანვრიდან ან მას შემდეგ. ხსენებული სტანდარტი ითვალისწინებს, რომ ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ღირებულება უნდა გადაფასდეს, როცა სახეზეა ამგვარი აქტივის ღირებულების შემცირების შესაძლებლო ნიშნები.

ბასს 36-ის მოთხოვნის თანახმად, აქტივის ღირებულება უნდა იქნას გაანგარიშებული, როგორც უდიდესი ქვემოთმოყვანილი სიდიდეებიდან: რეალიზაციის წმინდა ღირებულება, ან აქტივის გამოყენების მომგებიანობა. რეალიზაციის წმინდა ღირებულება – ეს არის თანხა, რომელიც შეიძლება აქტივის დაუკავშირებელი მხარეებისათვის მიყიდვიდან იქნას მიღებული, რაც ხორციელდება ნორმალურ გარემოებებში გაყიდვაზე გაწეული ხარჯების დაქვითვით. მოგება აქტივის გამოყენებიდან – ეს არის აქტივის სასარგებლო ექსპლუატაციის პერიოდში მისი გამოყენებიდან ან მისი ლიკვიდაციიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოღინების ნამდვილი ღირებულება.

ხსენებული სტანდარტი ითვალისწინებს, რომ აქტივის გამოყენების მომგებიანობის განსაზღვრისას ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს საპროგნოზო ფულადი სახსრები, რომელმაც უნდა ასახოს აქტივის

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

მიმდინარე მდგომარეობა, და წარმოადგენდეს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ ხარისხიან შეფასებას იმ ეკონომიკურ პირობებთან დაკავშირებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ აქტივის სასარგებლო ექსპლუატაციის დარჩენილ ვადაში. სავარაუდო ფულადი ნაკადები აუცილებლად უნდა დისკონტირდეს იმ განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას, და ამ აქტივთან დაკავშირებულ რისკებს.

ფინანსური აქტივები

ორგანიზაცია ფინანსურ აქტივებს აღიარებს შემდეგი კატეგორიების მიხედვით, იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნითაა შექმნილი ეს ფინანსური აქტივები. ორგანიზაციას ფინანსური ინსტრუმენტები არ აქვს კლასიფიცირებული, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი.

ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტისთვის შემდეგი სახისაა:

ა) სესხები და მოთხოვნები

მოთხოვნები და სესხები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნია ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელი და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ისინი წარმოიშევა მომხმარებელზე საქონლისა და მომსახურების მიწოდებისას ან სესხის გაცემისას, აგრეთვე სხვა მონეტარული აქტივების გაცემისას. მოთხოვნები და გაცემული სესხები, როგორც წესი, აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებულ მათ შექმნასთან ან გამოშვებასთან. მოთხოვნები და სესხები აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდით გაანგარიშებული ამორტიზებადი ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული გაუფასურების ზარალით.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება გაუფასურებისა (რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს), გამოწვეული აქტივის საწყისი შეფასების შემდეგ მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენა“) და თუ ამ მოვლენამ (თუ მოვლენებმა) გავლენა იქონია ფინანსური აქტივიდან ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფიდან ნავარაუდებ ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. დებიტორული დავალიანებისა და სესხების, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია წმინდა თანხით, გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. თუ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და გაცემული სესხების ამოღება ვერ მოხერხდება, აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისი რეზერვის ანგარიშზე.

ორგანიზაციის მოთხოვნები და სესხები მოიცავს მოთხოვნებს მიწოდებიდან და მომსახურებიდან და სხვა სახის მოთხოვნებს, ასევე ფულს და ფულის ეკვივალენტებს, რომლებიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში,

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული გადახდებით და ფიქსირებული გადახდის ვადით, რომელთა დაფარვის ვადამდე შენახვის სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია ორგანიზაციას, გარდა იმათი:

- (ა) რომლებსაც ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- (ბ) რომლებსაც ორგანიზაცია განიხილავს, როგორც გასაყიდად გამიზნულს; და
- (გ) რომლებსაც მიესადაგება განმარტება _ სესხები და მოთხოვნები.

ამ პერიოდისთვის ორგანიზაცია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს.

გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური აქტივები, რომლებიც შემდეგ მოთხოვნებს აკმაყოფილებს:

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

(ა) კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამოიზნული. ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამოიზნული, თუ ის:

- (ი) შეძენილია ან აღებულია მხოლოდ გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს ვადებში;
- (იი) თავდაპირველი აღიარებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან
- (იიი) წარმოებული ინსტრუმენტია (იმ წარმოებულის გამოკლებით, რომელიც არის ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტადაა მიჩნეული).

(ბ) თავდაპირველი აღიარებისას ორგანიზაცია აღიარებს რეალური ღირებულებით აღრიცხულ აქტივს მოგებაში ან ზარალში ასახვით, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- (ი) თუ კონტრაქტი შეიცავს ერთ ან მეტ წარმოებულ ინსტრუმენტს, ორგანიზაციას უფლება აქვს, ჰიბრიდული (კომბინირებული) კონტრაქტი მიიჩნიოს ფინანსურ აქტივად ან ფინანსურ ვალდებულებად, რომელიც კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით აღრიცხვისათვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც:
 - ჩართული წარმოებული (წარმოებულები) მნიშვნელოვნად არ ცვლის იმ ფულადი ნაკადების სიდიდეს, რომელიც კონტრაქტით სხვა შემთხვევაში იქნებოდა მოთხოვნილი;
 - მსგავსი ჰიბრიდული (კომბინირებული) ინსტრუმენტის პირველად განხილვის დროს;
 - ანალიზის გარეშე ან მცირე ანალიზიდანაც აშკარად ჩანს, რომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა იკრძალება, როგორცაა, მაგალითად, სესხში ჩართული წინასწარ გადახდის არჩევანის უფლება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, სესხის დასაფარად გადაიხადოს დაახლოებით მისი ამორტიზებული ღირებულების ტოლი თანხა; ან

(იი) როდესაც ამის გაკეთება უფრო შესაბამის ინფორმაციას იძლევა, რადგან:

- იგი მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამობებს (რასაც ზოგჯერ „სააღრიცხვო შეუსაბამობას“ უწოდებენ), რაც, სხვა შემთხვევაში, წარმოიქმნებოდა განსხვავებულ საფუძველზე აქტივების ან ვალდებულებების შეფასებიდან ან მათი შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან; ან
- ფინანსური აქტივების ჯგუფი, ფინანსური ვალდებულებების ჯგუფი ან ორივე, იმართება და მისი შედეგის შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება, დადგენილი რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად და, აღნიშნული ჯგუფის შესახებ ამავე საფუძველით მომზადებული ინფორმაცია მიეწოდება საწარმოს ფარგლებში, საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას (როგორც ეს განმარტებულია ბასს 24-ში – „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ (გადასინჯული 2003 წელს), მაგალითად, საწარმოს დირექტორთა საბჭოსა და აღმასრულებელ დირექტორს.

ამ პერიოდისთვის ორგანიზაცია არ ფლობს რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

დ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად გამოიზნული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამ პერიოდისთვის ორგანიზაცია არ ფლობს გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

ფინანსური ვალდებულებები

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს შემდეგი ორი კატეგორიის მიხედვით, იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნითაა შექმნილი ეს ფინანსური ვალდებულება. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული ამ კატეგორიის ფინანსური ვალდებულების აღსარიცხავად:

(ა) *რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით*

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით არის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს (დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ფინანსური აქტივების აღრიცხვასთან):

(ა) კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული;

(ბ) თავდაპირველი აღიარების შემდეგ ნაჩვენებია ორგანიზაციის მიერ რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში ორგანიზაციას არ აქვს რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს და სხვა მოკლევადიანი მონეტარულ ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში მისი შეფასება ხდება ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

5. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- სავალუტო რისკი;
- საპროცენტო რისკი.

შენიშვნის ამ ნაწილში აღწერილია ის მიზნები, პოლიტიკები და პროცედურები, რომლებსაც ორგანიზაცია იყენებს ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკების განეიტრალების მიზნით. რისკებთან დაკავშირებული შემდგომი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამავე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ორგანიზაციის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლებელია რისკის ქვეშ იმყოფებოდეს, არის:

- დონორების მიმართ არსებული მოთხოვნები;
- მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები;
- ფული და ფულის ექვივალენტები;
- მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები;

ფინანსური ინსტრუმენტები კატეგორიების მიხედვით განხილულია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

ფინანსური აქტივები

	სესხები და მოთხოვნები	
	2011	2010
დონორების მიმართ არსებული მოთხოვნები	414,098	284,939
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	11,134	31,767
ფული და ფულის ექვივალენტები	82,322	103,837
	507,554	420,543

ფინანსური ვალდებულებები

	ფინანსური ვალდებულებები	
	2011	2010
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	17,305	28,424
	17,305	28,424

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და გზები

ორგანიზაციას არ აქვს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული არსებითი რისკები. რისკების მართვა ხორციელდება ორგანიზაციის უმაღლესი მენეჯმენტის მიერ. ორგანიზაციის ამ პოლიტიკების შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ორგანიზაციას საკრედიტო შეღავათების მქონე მხოლოდ რამდენიმე დებიტორი ჰყავს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იქიდან გამომდინარე, რომ ორგანიზაცია სწავლობს დებიტორების საკრედიტო ისტორიას მათთვის საკრედიტო შეღავათის მიცემამდე, ის ამ რისკის წინაშე არ დგას.

მიმდინარე პერიოდში ორგანიზაციას არ დაუფირავებია საკუთრებაში არსებული ქონება, შესაბამისად, მსგავსი საკითხების შესახებ წინამდებარე შენიშვნაში განმარტებები არ არის გაკეთებული.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები გავლენას ახდენს საკრედიტო რისკის ზრდაზე, რადგან არსებობს იმის რისკი, რომ ბანკს შეექმნება გარკვეული სირთულეები და იგი ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციისთვის ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას. გარდა ამისა, საკრედიტო რისკი იზრდება ფულის და ფულადი სახსრების ექვივალენტების რეალური ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებითაც. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ორგანიზაცია აფასებს იმ ბანკების გადახდისუნარიანობას და ხარისხს, რომელშიც გახსნილი აქვს ანგარიში, მენეჯმენტი თვლის რომ ამ ეტაპზე ბანკის გაკოტრების და ფულის და ფულადი სახსრების ექვივალენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი არაა არსებითი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ორგანიზაციის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაცია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

საანგარიშგებო პერიოდისთვის ორგანიზაციას ფინანსური ვალდებულებების არსებითი მოცულობა გააჩნია, თუმცა, ასევე არსებითია ფინანსური აქტივების მოცულობაც.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები (არადისკონტირებული ფულადი ნაკადები) განსაზღვრულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

2011 წლის 31 დეკემბრისთვის	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
დონორების მიმართ არსებული მოთხოვნები		414,098	-	414,098
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	11,134			11,134
ფული და ფულის ექვივალენტები	82,322	-	-	82,322
	93,456	414,098	-	507,554
ვალდებულებები				
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(17,305)			(17,305)
	(17,305)	-	-	(17,305)
წმინდა ლიკვიდურობა	76,151	414,098	-	524,859
კუმულაციური ლიკვიდურობა	76,151	490,249	490,249	1,015,108

2010 წლის 31 დეკემბრისთვის	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
დონორების მიმართ არსებული მოთხოვნები		284,939	-	284,939
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	31,767			31,767
ფული და ფულის ექვივალენტები	103,837	-	-	103,837
	135,604	284,939	-	420,543
ვალდებულებები				
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(28,424)			(28,424)
	(28,424)	-	-	(28,424)
წმინდა ლიკვიდურობა	107,180	284,939	-	448,967
კუმულაციური ლიკვიდურობა	107,180	392,119	392,119	841,086

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

სავალუტო რისკი

ორგანიზაცია ძირითად ოპერაციებს ახორციელებს ქვეყნის შიგნით, აქედან გამომდინარე, ანგარიშსწორებაც ქართულ ლარებში მიმდინარეობს. ორგანიზაცია დონორებისგან დაფინანსებას იღებს უცხოურ ვალუტაშიც. შესაბამისად, მისი ტრანზაქციები საკმაოდ მგრძობიარეა კურსთა ცვლილებების მიმართ, თუმცა სხვა ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტის დიდი ნაწილი ნაზღაურდება დონორი ორგანიზაციების მიერ.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სავალუტო რისკი მოცემულ მომენტში არ წარმოადგენს არსებითს ორგანიზაციისთვის და მოსალოდნელია, რომ სიტუაცია არც მომავალში შეიცვლება.

2011 წლის 31 დეკემბრისთვის, ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილი იყო შემდეგ ვალუტებში:

	GEL	USD	EUR	GBP	სულ
	2011	2011	2011	2011	2011
აქტივები					
დონორების მიმართ არსებული მოთხოვნები		-	392,045	22,053	414,098
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	11,134	-	-	-	11,134
ფული და ფულის ექვივალენტები	71,709	2,386	-	8,227	82,322
	82,843	2,386	392,045	30,280	507,554
ვალდებულებები					
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(17,305)	-	-	-	(17,305)
	(17,305)	-	-	-	(17,305)

2010 წლის 31 დეკემბრისთვის, ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილი იყო შემდეგ ვალუტებში:

	GEL	USD	EUR	GBP	სულ
	2010	2010	2010	2010	2010
აქტივები					
დონორების მიმართ არსებული მოთხოვნები	-	-	284,939	-	284,939
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	31,767	-	-	-	31,767
ფული და ფულის ექვივალენტები	33,556	40,998	29,283	-	103,837
	65,323	40,998	314,222	-	420,543
ვალდებულებები					
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(28,424)	-	-	-	(28,424)
	(28,424)	-	-	-	(28,424)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს რისკს (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთის მატარებელ აქტივებთან ან ვალდებულებებთან (აღებულ სესხებთან), მათი ცვლადი საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე. საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციას არ გააჩნია მიღებული ან გაცემული სესხები, აქედან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე ორგანიზაცია არ დგას.

ორგანიზაციის კაპიტალის შესახებ ინფორმაციის ახსნა-განმარტება

ორგანიზაციის კაპიტალი შედგება დაგროვილი რეზერვებისა და დროებით შეზღუდული სახსრებისგან. ორგანიზაციის მენეჯმენტი პასუხისმგებელია კაპიტალის შენარჩუნებასა და ზრდაზე, ორგანიზაციის საქმიანობის წარმართვისა და გაფართოების მიზნებისთვის.

6. წინა პერიოდის შეცდომები

ორგანიზაცია ასწორებს წინა პერიოდის არსებით შეცდომებს და რეტროსპექტულად გადაიანგარიშებს იმ შესადარის ინფორმაციას, რომელიც შეცდომით იყო წარდგენილი წინა პერიოდში; ხოლო თუ შეცდომა გამოვლინდება იმ პერიოდში, რომელიც უფრო ადრინდელია ვიდრე წინა პერიოდში წარმოდგენილი ინფორმაცია, ორგანიზაცია ასწორებს აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყის ნაშთებს, ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ადრე წარდგენილ კომპონენტებს.

2011 წელს, ორგანიზაციამ გამოავლინა შეცდომები, რომლებიც გავლენას ახდენენ 2010 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდზე. დაშვებული შეცდომების გასწორებისა და რეკლასიფიკაციების ეფექტი 2010 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	წინა		ახალი
	წარდგენა	კორექტირება	წარდგენა
დონორების მიმართ არსებული მოთხოვნები	2,046,724	(1,761,785)	284,939
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	57,750		31,767
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(90,885)	36,478	(28,424)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(1,010)	1,010	-
აკუმულირებული რეზერვი დროებით შეზღუდული შემოსავალი	(313,867)	(1,019)	(314,886)
სხვა ვალუტაში წარდგენით გამოწვეული კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(2,164,904)	1,761,785	(403,119)
	(23,416)	10,363	(13,053)

- წინა პერიოდის შეცდომა გამოწვეული იყო როგორც დონორების მიმართ არსებული მოთხოვნების, ასევე შეზღუდული შემოსავლების არასწორი აღიარებით და წარდგენით. ორგანიზაციამ აღიარა დონორ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი თანხები 2009 და 2010 წელს, რაც აღემატებოდა მხოლოდ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხას.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

- ორგანიზაციას არ ჰქონდა ნაღიარები საგადასახადო აქტივი (ჩასათვლელი დღე) წინა წლებში, ამიტომ ორგანიზაციას ჰქონდა გაზრდილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი და სხვა ვალდებულებები 2009 და 2010 წელს.
- 2009 და 2010 წელს სხვაობები ბუღალტრულ და საგადასახადო ბაზებს შორის იყო მუდმივი, თუმცა ორგანიზაციას აღიარებული ჰქონდა გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება.

7. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები 2011 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს:

	2011	2010
ნაღდი ფული		
ლარებში	138	-
ფული საბანკო ანგარიშებზე		
ლარებში	71,709	37,262
სხვა ვალუტაში	10,613	66,575
	82,460	103,837

8. მოთხოვნები დონორების მიმართ

მოთხოვნები დონორების მიმართ 2011 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს:

დონორების მიხედვით

	2011	2010
EED	-	3,930
SaferW/2009	-	4,346
IFS-RRM	-	26,509
MATRA	129,187	224,540
SaferW/2010	-	2,260
NED2010	-	15,000
PASOS	-	5,020
Swedish Conf.	-	3,334
EED2011	215,088	-
MFSII-22173	7,656	-
DCI-MIGR	42,338	-
OSCE/11	5,432	-
SaferW/2011	14,397	-
	414,098	284,939

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

9. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან და სხვა მოთხოვნები 2011 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს:

	2011	2010
მოთხოვნები მომწოდებელთა მიმართ	1,254	-
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	601	6,221
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3,895	6,132
გადახდილი ავანსები	5,384	19,414
	11,134	31,767

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2011 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს:

ისტორიული ღირებულება	აღჭურვილობა	ავტომანქანები	შენობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
2009 წლის 31 დეკემბრისთვის	171,923	42,217	389,237	-	603,377
შემოსვლა	8,726	2,465	-	-	11,191
გასვლა	-	(3,091)	(39,122)	-	(42,213)
2010 წლის 31 დეკემბრისთვის	180,649	41,591	350,115	-	572,355
შემოსვლა	9,020	-	5,818	5,818	20,656
გასვლა	-	-	-	- 5,818	5,818
2011 წლის 31 დეკემბრისთვის	189,669	41,591	355,933	-	587,193
ცვეთა					
2009 წლის 31 დეკემბრისთვის	(119,656)	(21,669)	(38,115)	-	(179,440)
პერიოდის განმავლობაში დარიცხული	(15,098)	(6,586)	(16,443)	-	(38,127)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	3,091	2,074	-	5,165
2010 წლის 31 დეკემბრისთვის	(134,754)	(25,164)	(52,484)	-	(212,402)
პერიოდის განმავლობაში დარიცხული	(16,561)	(4,207)	(17,402)	-	(38,170)
2011 წლის 31 დეკემბრისთვის	(151,315)	(29,371)	(69,886)	-	(250,572)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
სხვა ვალუტაში წარდგენით გამოწვეული კურსთაშორის სხვაობის ეფექტი 2011	(2,649)	(1,045)	(17,322)	-	(21,016)
სხვა ვალუტაში წარდგენით გამოწვეული კურსთაშორის სხვაობის ეფექტი 2010	(151.00)	(141.00)	(285.00)	-	(577)
2009 წლის 31 დეკემბრისთვის (არააუდიტირებული)	52,267	20,548	351,122	-	423,937
2010 წლის 31 დეკემბრისთვის	43,246	15,383	280,309	-	338,939
2010 წლის 31 დეკემბრისთვის	38,203	12,079	285,762	-	336,044

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

11. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი და სხვა ვალდებულებები

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი და სხვა ვალდებულებები 2011 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს:

	2011	2010
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	10,313	12,519
გადასახდელი ხელფასები	4,641	4,408
მომწოდებლების მიმართ არსებული ვალდებულებები	699	1,968
კლიენტების მიმართ არსებული ვალდებულებები	-	992
სხვა ვალდებულებები	1,652	8,537
	17,305	28,424

12. დროებით შეზღუდული შემოსავალი

დროებით შეზღუდული შემოსავალი 2011 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს:

	2011	2010
SaferW/2009	3,302	36,147
MATRA	180,962	300,366
SaferW/2010	-	11,968
NED2010	2,584	27,949
PASOS	1,739	14,378
Swedish Conf.	-	12,311
DCI-MIGR	50,876	-
IPA/2011	2,898	-
OSCE/11	3,790	-
EED2011	223,500	-
MFSII-22173	6,246	-
SaferW/2011	35,676	-
	511,573	403,119

13. შეუზღუდავი შემოსავალი

შეუზღუდავი შემოსავალი 2011 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს:

	2011	2010
DDH2		84,953
EED	13,512	169,627
MM/02/08	-	1,191
IS2009/2010	-	11,297
OSCE/09	-	42
CSONetwork	-	60
CIVICUS	-	16,159
NIMD2009	-	107
SaferW/2009	34,524	107,943

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

IFS-RRM	496	40,271
KAS	-	4,466
OSCE/10	-	47,219
NIMD2010	-	4,342
Effective...	-	8,669
MATRA	121,115	70,533
SaferW/2010	12,391	13,667
NED2010	25,768	12,443
PASOS	12,981	2,126
OSIMigration	-	239
Fellowship	-	91
EED2011	63,082	-
Swedish Conf.	13,255	-
SaferW/2011	83,427	-
MFSII-22173	29,996	-
IPA/2011	22,266	-
DCI-MIGR	10,096	-
OSCE/11	53,299	-
	496,208	595,445

14. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები ძირითადად მოიცავს ორგანიზაციის მიერ წიგნების რეალიზაციიდან მიღებულ და სხვა მსგავსი სახის შემოსავლებს.

15. შემოწირულობები

შემოწირულობები მოიცავს დონორების მიერ ნაჩუქარ სახსრებს, რომლებიც, ძირითადად, პროექტის განხორციელების შემდგომ დარჩენილი მცირე მოცულობის თანხებისგან შედგება, რომელთაც დონორი უკან არ ითხოვს.

16. პროგრამის დანახარჯები

პროგრამის დანახარჯები 2011 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს:

	2011	2010
ხელფასის ხარჯი	(342,929)	(386,583)
მივლინების ხარჯი	(1,635)	(9,613)
საგამომცემლო ხარჯი	(19,036)	(6,355)
ოფისის ხარჯი	(5,077)	(6,728)
ტრენინგთან და სემინარებთან დაკავშირებული ხარჯი	(81,852)	(131,169)
კომუნალური ხარჯი	(3,938)	(4,927)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(13,262)	(17,344)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

(აშშ დოლარებში)

	2011	2010
საბანკო ხარჯი	(1,118)	(1,288)
კომუნიკაციის ხარჯი	(11,230)	(9,478)
დაზღვევის ხარჯი	(946)	(612)
ტრანსპორტირების ხარჯი	(9,432)	(12,724)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(5,753)	(8,625)
	(496,208)	(595,446)

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2011 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს:

	2011	2010
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(24,908)	(20,782)
ქონების გადასახადის ხარჯი	(4,181)	(3,690)
ხელფასის ხარჯი	(1,798)	-
კომუნიკაციის ხარჯი	(1,687)	(176)
ტრანსპორტირების ხარჯი	(1,296)	(174)
ტრენინგთან და სემინარებთან დაკავშირებული ხარჯი	(365)	(651)
საგამომცემლო ხარჯი	(240)	-
ოფისის ხარჯი	(159)	(1,538)
საბანკო ხარჯი	(124)	(3)
	(34,758)	(27,014)

18. განუსაზღვრელობები

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოში

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

სამართლებრივი ვალდებულებები

ორგანიზაციას ჩვეული საქმიანობის პროცესში არ აქვს საქმე არსებით სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. გარდა ამისა, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებისა და პრეტენზიების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ იქონიებს არსებით გავლენას ფინანსურ მდგომარეობაზე ან ორგანიზაციის მომავალ ოპერაციებზე.